# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# დებულება მაგისტრატურის შესახებ

აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133

**1. მაგისტრატურის მიზნები**

1.1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

1.2. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

ა) შესაბამის მიმართულებაში, დარგში/სპეციალობაში ან/და ქვედარგში/სპეციალიზაციაში ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარების გამომუშავება, რაც პირს ამზადებს მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ან/და დოქტორანტურაში სწავლისათვის;

ბ) სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა);

გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

დ) პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება.

**2. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები**

2.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი მოცულობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები (საგნები)/მოდულები/კონცენტრაციები) – არანაკლებ 75 კრედიტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის (შემდგომში სამაგისტრო ნაშრომი) სახით, არანაკლებ 30 კრედიტისა.

2.2. სამაგისტრო ნაშრომი, მოცულობის შესაბამისად, შეიძლება შესრულდეს ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში.

**3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.**

3.1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/პედაგოგი (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი), ემერიტუსი, სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტის/ცენტრის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება/მემორანდუმი.

3.2. მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1), სადაც უნდა იყოს მითითებული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების/კონცენტრაციების ჩამონათვალი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები.

3.3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვისათვის მომზადებას.

## 4. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

4.1. სტუ-მ სამაგისტრო პროგრამა შეიძლება ერთობლივად განახორციელოს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ერთობლივი პროგრამის განხორციელების წესს ადგენს სტუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდების, მარეგულირებელი დოკუმენტების და პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულე-ბების/მემორანდუმების თანახმად.

4.2. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელი თითოეული დაწესებულებიდან. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესში“ მოყვანილ ყველა პირობას. ამის გარდა, აუცილებლად უნდა მიეთითოს სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები, რომლებიც განხორციელდება პარტნიორ დაწესებულებაში (საგნები, კვლევა, პრაქტიკა, ლექტორების მოწვევა და ა.შ.).

4.3. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭების პირობები, თუ ეს იგეგმება.

## 5. მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტი

5.1. სწავლების დეპარტამენტის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/პედაგოგი, ემერიტუსი, აგრეთვე სტუ-სთან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მიზნით, აკადემიურ დეპარტამენტში წერილობით წარადგენს ვაკანტური ადგილების გამოყოფის

შესახებ წინადადებას სათანადო რაოდენობის სამაგისტრო ნაშრომის/ნაშრომების თემატიკის ან სავარაუდო დასახელების მითითებით.

5.2. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი დეპარტამენტში განხილვისა და კორექტირების საფუძველზე, დეკანატში წარადგენს მოთხოვნას სამაგისტრო პროგრამების მიხედვით ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ, აგრეთვე სავარაუდო ხელმძღვანელებისა და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკების ან სავარაუდო დასახელებების მითითებით.

5.3. ფაკულტეტის დეკანი აკადემიური დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დეკანი სწავლების დეპარტამენტში წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს ოქმს და სამსახურებრივ ბარათს მისაღებ კონტინგენტში შესაბამისი ვაკანტური ადგილების გათვალისწინების თხოვნით.

5.4. აკადემიური საბჭოს მიერ მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შემდეგ დეკანი უზრუნველყოფს თემების სავარაუდო დასახელებების და ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციის (სახელი, გვარი, თანამდებობა, კვლევის მიმართულება) განთავსებას ფაკულტეტის ვებგვერდზე.

**6. მაგისტრატურაში ჩარიცხვა**

6.1. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

6.2. სტუ ვალდებულია თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსოს და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის № 227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს:

ა) იმ სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალი, რომელზეც შესაბამის წელს განზრახულია მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება და თითოეულ მათგანზე გამოყოფილი ვაკანტური ადგილების რაოდენობა;

ბ) ინფორმაცია თითოეული სამაგისტრო პროგრამისთვის სწავლის წლიური საფასურის შესახებ;

გ) ინფორმაცია იმის თაობაზე, აკრედიტებულია/ავტორიზებულია თუ არა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა;

დ) ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამების მიხედვით სამაგისტრო გამოცდისათვის კოეფიციენტების განაწილების შესახებ;

6.3. სტუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძველზე.

6.4. სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების ჩატარების მიზანია:

ა) სტუ-ის მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა.

6.5. სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდა;

ბ) სტუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები.

6.6. საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მიზნით, დაინტერესებული პირის რეგისტრაცია ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად.

6.7. საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს მონაწილეობა მიიღოს სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში (შემდგომში გამოცდა/გამოცდები).

6.8. სტუ ვალდებულია კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დააწესოს გამოცდა შესაბამის სპეციალობაში, ასევე უფლებამოსილია კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე დააწესოს დამატებითი გამოცდა/გამოცდები სხვა საგანში/საგნებში.

6.9. მაგისტრანტობის კანდიდატთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით სტუ-ში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

გ) იმ პირისათვის, რომელმაც გადალახა შესაბამისი ზღვარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში.

6.10. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების ფორმა

- საერთო სამაგისტრო გამოცდა ტარდება წერილობით, ტესტის მეშვეობით.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტი შედგება ოთხი ნაწილისგან:

ა) წაკითხულის გააზრება;

ბ) ანალიტიკური წერა;

გ) ლოგიკური მსჯელობა;

დ) რაოდენობრივი მსჯელობა.

6.11. მაგისტრანტობის კანდიდატი სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების შეჯამების შემდეგ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აქვეყნებს იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა პირველად შედეგებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთო სამაგისტრო გამოცდაში, ხოლო მოგვიანებით – იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა სიას, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს აღნიშნული გამოცდები.

6.12. საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მაგისტრანტობის კანდიდატი გადის სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.
6.13. სტუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს სტუ-ში რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
6.14. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს **განცხადება** ფაკულტეტის, სამაგისტრო პროგრამის მითითებით, აგრეთვე შემდეგი საბუთები:

- პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
- აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი და მისი ასლი, ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მისი ასლი;
- ფოტოსურათი 4 ცალი ზომით 3x4 სმ და CD დისკი;
- მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
- მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შეფასებები (ამონაბეჭდი **სსიპ - შეფასებისა და** გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან – www.naec.ge);
- სტუ-ის სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი თი-ბი-სი ბანკის რომელიმე ფილიალიდან.

მაგისტრანტობის კანდიდატი პირველადი შემოწმების მიზნით, საბუთებს წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში; საბუთების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში მისი განცხადება არ მიიღება. თუ საბუთები წესრიგშია, დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ხოლო ვიზირებულ განცხადებას, საბუთებთან ერთად, მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს სტუ-ის კანცელარიას.
6.15. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში ასევე უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (32 ქულა 100-დან).
6.16. სტუ თავად ადგენს მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შინაარს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარსა და გამოცდის/გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. საგამოცდო ტესტების ნიმუშები განთავსდება სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოცდებამდე ერთი თვით ადრე.
6.17. სტუ გამოცდას/გამოცდებს ატარებს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შენობაში.
6.18. სტუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგები, მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ, ქვეყნდება ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
6.19. პრეტენზიის არსებობისას მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განცხადებას წარადგენს სტუ-ის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში.

6.20. მაგისტრანტობის კანდიდატის საპრეტენზიო განცხადებები განიხილება სტუ-ის მიერ შექმნილ საპრეტენზიო საბჭოზე. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში. საბოლოო შედეგები ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე.

6.21. სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების დაიცვა:

ა) სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტების ჯამი 100-ის ტოლია; იგი ნაწილდება საერთო სამაგისტრო გამოცდასა და სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტები უნდა გადანაწილდეს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილზე;

გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილს მიენიჭოს კოეფიციენტი არანაკლებ 5-სა;

დ) განისაზღვროს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილისთვის მინიჭებული კოეფიციენტების საერთო ჯამი, რომელიც არანაკლებ 35-ის და არა უმეტეს 65-ის ტოლია.

6.22. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება:

ა) სტუ, მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ადგენს სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს;

ბ) სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარა;

გ) სტუ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამის სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ნორმირებული ქულისა და სტუ-ის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ან/და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის მინიჭებული კოეფიციენტის/კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, ტესტის ნაწილების ან/და გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

6.23. მაგისტრანტობის კანდიდატის საერთო სამაგისტრო გამოცდის კონკრეტული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილში/გამოცდაში მიღებული ქულა იყოფა ამ გამოცდის მაქსიმალურ ქულაზე და მიიღება ნორმირებული ქულა;

ბ) ნორმირებული ქულა გადამრავლდება სტუ-ის მიერ ტესტის ნაწილებისთვის წინასწარ განსაზღვრულ კოეფიციენტებზე და მიიღება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილის კონკრეტული ქულა;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული კონკრეტული ქულები ჯამდება და მიიღება საერთო სამაგისტრო გამოცდის ერთიანი კონკრეტული ქულა.

6.24. მაგისტრანტობის კანდიდატის კონკრეტული ქულა სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ქულა, სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში, იყოფა ამ გამოცდის მაქსიმალურ ქულაზე და მიიღება ნორმირებული ქულა;

ბ) ნორმირებული ქულა გადამრავლდება სტუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდებისთვის წინასწარ დადგენილ კოეფიციენტზე/კოეფიციენტებზე და მიიღება სტუ-ის მიერ განსაზღვრული შესაბამისი გამოცდის/გამოცდების კონკრეტული ქულა.

6.25. მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ საერთო სამაგისტრო და სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდებზე მიღებული კონკრეტული ქულები ჯამდება და მიიღება საკონკურსო ქულა.

6.26. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხვა:

ა. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუ-ის გამოცდის/გამოცდების შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს სტუ-ის მაგისტრატურაში;

ბ. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე მაგისტრანტობის კანდიდატი ჩაირიცხება სტუ-ის მაგისტრატურაში;

გ. სტუ-ში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

6.27. თუ სტუ-ის მაგისტრატურის სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე რანჟირებული მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხიდან, ტესტის ნაწილების/გამოცდების პრიორიტეტების გათვალისწინების შემდეგ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ მაგისტრანტობის კანდიდატს, სტუ იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში, ამ პროგრამას დაუმატოს ადგილები. იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს სტუ-ის შესაბამისი პროგრამისთვის გამოყოფილ ადგილებზე შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობას, დამატებული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება სტუ-ის სტუდენტთა მომდევნო სასწავლო წელს დადგენილ მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს.

6.28. სტუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

6.29. სტუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება სტუ-სა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6.30. იმ პირების მაგისტრატურაში ჩარიცხვის თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები სტუ-ის მიერ, არა უგვიანეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრული ვადისა, დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც, ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, იგზავნება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

6.31. ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება სტუ-ის სტუდენტი მაგისტრანტი.

## 7. სასწავლო პროცესი

7.1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) საფუძველზე.

7.2. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების წესში (დანართი 2).

7.3. ახლადჩარიცხული მაგისტრანტებისათვის ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის გაადვილების მიზნით დეპარტამენტის უფროსი ორგანიზებას უკეთებს მაგისტრანტებისა და სავარაუდო ხელმძღვანელების შეხვედრას. ხელმძღვანელები წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო დასახელებებსა და მათ აქტუალურობას, აგრეთვე საკუთარი კვლევის მიმართულებებს. მაგისტრანტს უფლება აქვს, განაცხადოს მისთვის საინტერესო თემატიკის შესახებ. შეხვედრის საფუძველზე მაგისტრანტები აკეთებენ არჩევანს და შესაბამისი განცხადებით მიმართავენ აკადემიური დეპარტამენტის უფროსს. მაგისტრანტს უფლება აქვს აგრეთვე ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებული ჩამონათვალიდან შეარჩიოს თემა და ხელმძღვანელი და, აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების გარეშე, თავისი არჩევანის შესახებ განცხადებით მიმართოს აკადემიური დეპარტამენტის უფროსს.

7.4. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი დეპარტამენტის სხდომაზე განხილვის საფუძველზე, დეკანატში წარადგენს მაგისტრანტების სიას ხელმძღვანელების კანდიდატურებისა და თემების დასახელებების მითითებით (სათანადო სამსახურებრივ ბარათთან და დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად).

7.5. მაგისტრანტის ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომის დასახელება მტკიცდება დეკანის ბრძანებით.

7.6. ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების ცვლილება შეიძლება მოხდეს სემესტრის დასაწყისში, რომელიც ასევე მტკიცდება დეკანის ბრძანებით შესაბამისი

აკადემიური დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათისა და დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერის საფუძველზე.

7.7. მაგისტრანტის  მიერ მიღებული კვლევის შედეგები აისახება სამაგისტრო ნაშრომში, რომელიც უნდა შესრულდეს სწავლების ენაზე დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით (იხ. დანართი 3).

7.8. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელშიც აისახება ისეთი სამუშაოების ჩატარების უნარი, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და ა.შ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

7.9. მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით.

7.10. დეკანი სამაგისტრო ნაშრომს გადასცემს პროგრამა Strikeplagiarism.com-ის საფაკულტეტო ოპერატორს მსგავსების ანგარიშის მოსამზადებლად.

7.11. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობა ან და სხვა ნაშრომებიდან ნორმაზე მეტი ტექსტის ციტირება არის მაგისტრანტის დაცვაზე არდაშვების საფუძველი. გარდა ამისა, პლაგიატის არსებობა აგრეთვე არის მაგისტრანტზე ან/და მის ხელმძღვანელზე დისციპლინური ზემოქმედების საფუძველი.

7.12. თუ ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს და სხვა ნაშრომებთან ტექსტის მსგავსება ნორმის ფარგლებშია, დეკანის ბრძანებით რეცენზენტად მტკიცდება პირი, რომელსაც სამაგისტრო ნაშრომის შესაბამის/მონათესავე დარგში/სფეროში გამოქვეყნებული აქვს სულ ცოტა სამი ნაშრომი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს მაგისტრანტის მიერ შესრულებული რომელიმე სამუშაოს თანაავტორი;  რეცენზენტის დასკვნაში დასაბუთებული უნდა იყოს წინადადება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან  უარის შესახებ.

7.13. მაგისტრანტს აქვს დაცვაზე გასვლის უფლება რეცენზენტის უარყოფითი  შეფასების შემთხვევაშიც.

7.14. მაგისტრანტს, რომელმაც გეგმურ ვადაში ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უფლება აქვს არა უმეტეს 2 დამატებითი სემესტრით გაიგრძელოს სტუდენტის სტატუსი. ამისათვის მან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და დადებითი გადაწყვეტილების გამოტანისა და შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, გააფორმოს სასწავლო და  საფინანსო ხელშეკრულება არსებული წესის თანახმად;

7.15. მაგისტრანტს, რომელმაც გეგმურ ვადაში ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა და მის დასასრულებლად განცხადებით არ მიმართა რექტორს დამატებითი სემესტრის აღების შესახებ, დეკანის წარდგინებით უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

8. **სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი**

8.1. სტუ უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში;

8.2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 ასტრონომიული საათისა;

8.3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

9. **საგამოცდო კომისია. დაცვა**

9.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, გარდა კომპონენტისა "სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა"/"სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა". სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ჩატარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით დეკანი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით სწავლების დეპარტამენტში წარადგენს საგამოცდო კომისიის/კომისიების შემადგენლობას; სწავლების დეპარტამენტი ამზადებს შესაბამისი ერთიანი ბრძანების პროექტს.

9.2. საგამოცდო კომისიაში შეიძლება შევიდნენ სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი/მონათესავე დარგის სტუ-ის აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/პედაგოგი, ემერიტუსი, აგრეთვე სტუ-სთან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ასევე შეიძლება სხვა დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების ჩართვა.

9.3. საგამოცდო კომისია უნდა შედგებოდეს 5-7 წევრისაგან. მას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს სტუ-ის აკადემიური პერსონალი. დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის 2/3-ზე მეტი.

9.4. დაცვას, როგორც წესი, უნდა ესწრებოდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელი.

9.5. მაგისტრანტი კომისიას მოახსენებს სამაგისტრო ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დროს მაგისტრანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.

9.6. მაგისტრანტი პასუხობს კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებზე, კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის რომელიმე წევრი კითხულობს რეცენზიას. მაგისტრანტი კომენტარს აკეთებს რეცენზენტის შენიშვნებზე.

9.7. საგამოცდო კომისია, დახურულ სხდომაზე, დაცვის დამთავრებისთანავე მე-2 დანართში მითითებული 100-ქულიანი სისტემით აფასებს მაგისტრანტის ნაშრომს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების წესის შესაბამისად.

9.8. დაცვა არის საჯარო, მის მსვლელობასა და შედეგზე უნდა შედგეს ოქმი, რომელშიც აისახება კომისიის გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
9.9. საგამოცდო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.
9.10. სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მსვლელობის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გადატანა კომპაქტ-დისკზე (CD) და შენახვა ოქმის დანართის სახით.
9.10. მაგისტრანტმა საქართველოში არ ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, რექტორის ნებართვით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში (სკაიპით).

10. **მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი**

10.1. საგამოცდო კომისიის ოქმის საფუძველზე დეკანატი ამზადებს ბრძანების პროექტს და გადასცემს სწავლების დეპარტამენტს, მაგისტრის ან მაგისტრის წარჩინების დიპლომის გაცემის შესახებ.
10.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ მაგისტრის დიპლომს, მაგისტრის წარჩინების დიპლომს, დანართთან ერთად, გასცემს სტუ-ის შესაბამისი სამსახური.
10.3. მაგისტრის წარჩინების დიპლომის მისაღებად ყველა კომპონენტში მიღებული შეფასების საშუალო შეწონილი სიდიდე უნდა იყოს 91 და მეტი ქულა.

**11. ბათილობა**

მაგისტრანტის საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა არის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის არგაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

12. **შენახვა**

12.1. დაცული სამაგისტრო ნაშრომები, დაცვის შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა, უნდა ჩაბარდეს სტუ-ის არქივს.
12.2. სამაგისტრო ნაშრომის ჩაბარებისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ჩამბარებელთან, მეორე – მიმღებთან.